ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც ცხემშობლოსათვის უძგერს გული„

15 - 28 ივლისი 2015 წელი №13 №8095 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

84-ე წელთან ჩვენი გაზეთი იწერს, ეგზოვებს, იხსენებს რეალობის იცდილებას, ხანგრძლივ ან უბრალოდ ყვითელ ფურცლებს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფასებულ მეცნიერებს ... გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახლით ჩვენი მეგობარი

გილოცავთ ბერძენ-ბავშვობას!



მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისათვის

გვ2.

მიმდინარეობს კასპის ცენტრალური წყალსადენის მაგისტრალის მილის ამოცვლის სამუშაოები

გვ2.

ევროპის ოლიმპიადაზე

გვ2.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თვალადში, გრაკალში ...

გვ2.

სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაციამ კასპის საფეხბურთო სკოლის ბავშვთა გუნდი დააჯილდოვა

გვ3.

წარმატებით იასპარეზა კასპელმა სამბისტმა კახა მამულაშვილმა

გვ2.

ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „მოურავი„ „არტგენზე„

გვ2.

საანგარიშო კონცერტიდან შორჯომის საერთაშორისო ფესტივალზე

გვ6.

„ახალი განთიადი„ ეძებს ცალიერებლ ცურვიებს რეალობის ცვგვზეთო ფოტომასალიანის შეცვლელ. თხოვნით მივმართავთ თანხრეალობელებს - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალიანში! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლ ან ცხალოლეთ ფოტოები!

ქვემო ქალის ხულფურის სახლში

გვ8.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობისათვის

გორში პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრა გახსნა შიდა ქართლის გუბერნატორმა ბატონმა ზურაბ რუსიშვილმა, რის შემდეგაც რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტიდან მოწვეულ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ქალბატონმა ქეთევან ბოჭორიშვილმა.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ გუბერნატორის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის გამგებლები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები და თბილისის ბიზნეს ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც რეგიონში უზრუნველყოფს შესაბამისი კონსულტაციების განხორციელებას.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა ამ პროექტის განხორციელება ადგილობრივ მოსახლეობას ხელს შეუწყობს, როგორც ბიზნესის წამოწყებაში, ასევე არსებული ბიზნესის განვითარებაში, რაც რეგიონის განვითარებისთვის წამახალისელებელ ფაქტორს წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ წარადგინონ საკუთარი ბიზნეს იდეა, გააღრმაონ ბიზნეს უნარები, გამოიყენონ შესაძლებლობა და მიიღონ შესაბამისი თანადაფინანსება.

შერჩეული ბიზნეს იდეის განხორციელებაში ჩართული ერთი მეწარმე მიიღებს 5 000 ლარის ოდენობით, მეწარმეთა ორკაციანი ჯგუფის შემთხვევაში 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო სამკაციანი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში კი 15 000 ლარის ოდენობით თანადაფინანსებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თითოეული მეწარმის თანადაფინანსების წილი პროექტის განხორციელებაში შეადგენს დაფინანსებული თანხის არანაკლებ 20%-ს. გარდა ამისა, მეწარმეები უსასყიდლოდ მიიღებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციას, გაივლიან ბიზნეს გეგმის შედგენისა და ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგს. პროგრამის განსახორციელებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 000 ლარი, ფინანსური მხარდაჭერის ხანგრძლივობის ვადად 26 თვე, ხოლო განაცხადების შევსების პირველი ეტაპის ბოლო ვადად 3 აგვისტო განისაზღვრა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

მიმდინარეობს კასპის ცენტრალური წყალსადენის მაგისტრალის მილის ამოცვლის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა სამთავისის სასმელი წყლის სათავე ნაგებობიდან მომავალი, ქალაქ კასპის ცენტრალური წყალსადენის მაგისტრალის მილის ამოცვლის სამუშაოები დაათვალიერა.

სასმელი წყლის მაგისტრალის ამოსაცვლელად, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილია 1 900 000 ლარი.

მაგისტრალის სამუშაოებს შპს "საქჰიდროენერგომშენი" ასრულებს.

სამუშაოების დასრულების შემდეგ სასმელი წყლის ხარისხი გაუმჯობესებული და დაცული იქნება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში

თვალადში, გრაკალში ...

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულების "სოფლის მხარდაჭერის პროგრამი"-ს ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ თვალადში მოიხრეშა შიდა სასოფლო გზა და მიმდინარეობს სანიაღვრე არხების კუვეიტებით მოწყობა.

სამუშაოების ღირებულება 13 962 ლარია. პროექტს შპს "კანაპე" ახორციელებს, რომელმაც სამუშაოების შესრულებაზე ადგილობრივი მოსახლეობა დაასაქმა. ანალოგიური სამუშაოები სოფელ გრაკალშიც მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულება, რომელსაც შპს "კასპის საგზაო" ახორციელებს, ხელშეკრულების თანახმად 8 463 ლარია. მიმდინარე წელს კასპის მუნიციპალიტეტზე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 1 045 693 ლარი.

ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

,,მოურავი,, ,,არტგენზე,,

5 ივლისს ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, გაიმართა ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,არტგენი.'' ფესტივალზე წარმატებით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი ,,მოურავი''.

ევროპის ოლიმპიადაზე

წარმატებით იასპარეზა კასპელმა სამბისტმა კახა მამულაშვილმა

ევროპის პირველ ოლიმპიადაზე, რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში 12 ივნისს დაიწყო და 28 ივნისს დასრულდა, წარმატებით იასპარეზა კასპელმა სამბისტმა კახა მამულაშვილმა.

კახა მამულაშვილმა 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა. აზერბაიჯანში, 105 ქართველმა ათლეტმა - სპორტის 17 სახეობაში იასპარეზა.

გვმოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

რაიონის საფეხბურთო მატიანე

კასპის კულტურის ცენტრში ვანო ჯახუას წიგნის "კასპის რაიონის საფეხბურთო ისტორი"-ის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში აღწერილია კასპის რაიონის ფეხბურთის ისტორია, რომელიც ათვლას 1936 წლიდან იწყებს. ავტორი კასპელ ფეხბურთელებზე წლების განმავლობაში აგროვებდა ფოტო და ტექსტურ მასალას.

წიგნის და ავტორის შესახებ აზრი გამოთქვეს, როგორც სპორტული სამყაროს, ისე ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლებმა. ყველას აზრი წიგნის გამოცემასა და მის მხარდაჭერაზე დადებითი იყო.

ვანო ჯახუამ წიგნის გამოცემას წლები მოანდომა, რადგან დამფინანსებელი ვერ მოიძია. კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება წიგნის დაბეჭდვაზე. ვანო ჯახუამ მადლობა გადაუხადა დამფინანსებელს, ყველას ვინც წიგნის შექმნაში ეხმარებოდა.

პრეზენტაციაზე ყოფილი ფეხბურთელები და მწვრთნელები დაჯილდოვდნენ. თავად ავტორს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა საჩუქრად წმინდა გიორგის ხატი გადასცა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ხათუნა თათანაშვილმა კი სიმბოლურად ფეხბურთის ბურთი აჩუქა.

სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაციამ კასპის საფეხბურთო სკოლის ბავშვთა გუნდი დაჯილდოვა

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კასპის საფეხბურთო სკოლის ბავშვთა გუნდ კასპის "განთიად"-ს, სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჯილდოები გადასცა.

სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით, 2014 წლის სექტემბრიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობდა. აღნიშნულ ჩემპიონატში კასპის საფეხბურთო სკოლამ წარმატებებს მიაღწია.

2003 წელში დაბადებულ ბავშვთა გუნდმა გასულ წელს პირველი ადგილი დაიკავა, მათ არც წელს უღალატეს ტრადიციას და კვლავ პირველი ადგილი მოიპოვეს. 2001 და 2002 წლებში დაბადებულ ბავშვთა გუნდი კი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა სერგო გაბელიამ ტურნირში კასპელთა წარმატებების შესახებ ისაუბრა და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს, საფეხბურთო სკოლის დირექტორს ავთანდილ ჯალალს და გუნდის მწვრთნელს შავლეგ მაჭარაშვილს.

კასპის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ავთანდილ ჯალალმა პატარა ფეხბურთელებს წარმატებები უსურვა და ასევე მადლობა გადაუხადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორს, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს და მშობლებს ხელშეწყობისა და თანადგომისათვის.

ზაურ კალოევისა და გურამ ცხოვრებოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირები ყოველწლიურად ტარდება, რომელსაც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურისა და სპორტის სამსახური და სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია ატარებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

„ახალი გზნიავლი", იძიებს ცხინვალრიგლი ცოცხალებს ჩვიონის ცხგუბეთი ოოდომეტიანის შეცხემნილოვლ. თხოვნით მივმართავთ თანხრეიონელებს - ლოდოვეთ თჯვენი ყვლი ჩვენს მეტიანეში! გამოგვიგზავნეთ ცხინვალრიგლი ლა ცხალოიგლი ოოდოები!

მეგიმლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი მეილების, მეილიმეილის ფაიგინალური ფოფოები, ნახატები, ანტები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

„რა? სად? როდის?"

კასპის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდა მოაზროვნეებს შორის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?" გაიმართა. თამაშში 6 გუნდი მონაწილეობდა: „კრედო" /კაპიტანი გიგა შაველაშვილი/; „ჟალგირისი" /კაპიტანი ალექსანდრე ფარემუზაშვილი/; „კოშმარია" /კაპიტანი მანუჩარ მერებაშვილი/; „EDELWEISS"

აღაპიშვილი/„ტიტანი"კაპიტანი /ლევან გიგილაშვილი/ და გუნდი „ NO SMOKING" /კაპიტანი ალეკო ლიპარტელიანი/.

თამაში საინტერესოდ წარიმართა, რომელსაც ტრადიციულად მიხეილ ნონიკაშვილი უძღვებოდა. პირველი ადგილი „EDELWEISS"მა მოიპოვა, მეორე ადგილი „ჟალგირისმა," ხოლო მესამე ადგილი „NO SMOKING "- მა დაიკავა.

პირველ ადგილზე გასულ გუნდს 500, მეორე ადგილზე 400, ხოლო მესამე ადგილზე გასულს 300 ლარი გადაეცა.

ორი ისტორია

ამ დღეებში კასპის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა მორიგი სამეცნიერო სესია, რომლის ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა. საინტერესო მოხსენებით "ქალაქ კასპის

ახალი უბნები" დამსწრეთა წინაშე გამოვიდა მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ნელი ნიაზაშვილი, რომელმაც ვრცლად მიმოიხილა ანტიკური ხანის ისტორიული ქალაქის, კასპის დაარსებისა და განვითარების წიაღსვლები. როგორც მოსალოდნელი იყო, მსმენელთა ყურადღება შეაჩერა ქალაქის განვითარების თანამედროვე პერიპეტიებზე, კასპში დაარსებულ ახალ უბნებზე, მათი სახელწოდებების ისტორიაზე, მოსახლეობის კეთილდღეობისა და საბინაო პირობების გაუმჯობესების, კულტურულ მიღწევებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. სამეცნიერო სესიის დღის წესრიგის მეორე საკითხზე "კასპიელექტროაპარატის ისტორია" დამსწრეთ საინტერესოდ მოუთხრო მუზეუმის განყოფილების გამგემ ნანა მერებაშვილმა, რომელმაც დაწვრილებით ისაუბრა გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ქალაქში დაარსებულ ქარხანაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა რაიონის მუშახელის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების დასაქმების თვალსაზრით, აგრეთვე, ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, თუ რა როლი შეასრულა "კასპიელექტროაპარატმა" ქვეყნის მრეწველობის საქმეში.

– ორი ძალიან საინტერესო ისტორია, რომელიც კარგად ასახავს კასპის ახალი უბნებისა და ქარხნის ცხოვრებას, რატომღაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, – ვფიქრობ, ამ თემების განხილვა და წინა პლანზე წამოწევა განსაკუთრებით დააინტერესებს სკოლის მოსწავლეებს, ახალგაზრდებს.

წაკითხულ მოხსენებებთან დაკავშირებით აზრიც გამოითქვა, განსაკუთრებით საყურადღებო იყო ქარხანა "კასპიელექტროაპარატის" ყოფილი დირექტორის, ცნობილი ქველმოქმედის უშანგი მოსიაშვილის გამოსვლაც, მან დამსწრე საზოგადოებას, მომხსენებლებს მადლობა გადაუხადა ქარხნის ისტორიის შესწავლისა და განხილვისათვის. მოწონება დაიმსახურა დარბაზში მოთავსებულმა, სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებულმა სტენდმა, რომელზეც ასახული იყო ქარხნის ისტორიის ამსახველი ფოტო-მასალა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე, მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, კასპის საპარლამენტო ბიუროს წარმომადგენელი თემურ ხაბაძე.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

პეტრე-პავლობა



პეტრე და პავლე ერთმანეთისაგან განსხვავებული გზით მივიდნენ ქრისტესთან. წმ. პეტრე მოციქული თორმეტ მოწაფეთაგანია, რომელმაც მაცხოვრის სიტყვა თავიდანვე მიიღო და გაჰყვა მას, წმ. პავლე მოციქული კი ქრისტიანთა ყოფილი მდევნელი სავლეა, რომელიც სასწაულებრივი მოქცევის შემდეგ გახდა უფლის დიდი მსახური პავლე.

წმიდა მოციქული პეტრე იგივე სვიმეონი გალილეველი მეთევზის, იონას ძე იყო, რომელიც ასევე მეთევზეობით ირჩენდა თავს და განსაკუთრებული განათლება არ ჰქონდა. განკაცებული უფლის გამოჩენა მას ძმამ, ანდრია პირველწოდებულმა ახარა და მანვე მიიყვანა იგი იესოსთან. როდესაც ქრისტემ მოუწოდა პეტრეს, იგი საოცარი სიმდაბლით ჩაუვარდა ფეხებში იესუს და მიუგო: განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო.

წმინდა პავლე მოციქული (ყოფილი სავლე) კი სჯულით ფარისეველი, კილიკიის ქალაქ ტარსუში დაიბადა და რომის მოქალაქედ ითვლებოდა, საერო მეცნიერებებს იგი თავიდანვე კარგად ფლობდა. იერუსალიმში იგი მაშინდელ გამოჩენილ რაბინ გამალიელთან კარგად განისწავლა მოსეს სჯულში და, როგორც ფარისეველი, მისი მტკიცე აღმსრულებელიც გახლდათ. მისი მოქცევა ღვთისაკენ სხვაგვარად იყო; იგი ფრიად მავნებელ იყო ეკლესიათა მიმართ, სახლებსა შევიდოდა და ითრევდა მამებსა და დედებსა და მისცემდა საპყრობილედ (საქმე, 8,3). მაგრამ ერთხელაც, როდესაც იგი დამასკოში მიემგზავრებოდა, რათა ქრისტიანთა დევნა მოეწყო, უფალი გამოეცხადა მას გზაზე და იხილა ზეციდან გარდამოსული ნათელი, გაოცებული და შეშინებული სავლე დაეცა ქუეყანასა ზედა და ესმა ხმა, რომელმან ჰრქუა მას, საულ, საულ, რასა მდევნი მე? კითხვაზე: შენ ვინ ხარ, უფალო? მოესმა: მე ვარ იესუ, რომელსა შენ მდევნი! (საქმე 9,3-5) ამ სასწაულებრივი მოვლენის შემდეგ წმ. პავლე მოციქულმა ქრისტეს გულისათვის ბევრი იღვაწა, იტანჯა და ბოლოს ეწამა კიდეც, რის გამოც წმ. ეკლესიამ, იგი ღირსჰყო მოციქულთა თავად წოდებად.

"და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას; და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანი. და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰსნა ქუეყანასა ზედა, სნილ იყოს იგი ცათა შინა (მთ. 16, 15-19), ამ სიტყვებს მაცხოვარი ეუბნება პეტრეს და გულისხმობს ყველა მოციქულს, გარდა ერთისა, რომელიც თავისივე ნებით განდგა ღვთისაგან. ამ სიტყვებით ქრისტე თავისი ძალაუფლების ნაწილს გადასცემს ადამიანებს, მოციქულთა სახით, რაც დასტურია ღვთის უდიდესი სიყვარულისა კაცთა მოდგმისადმი.

პეტრეს და პავლეს ქადაგება უწევდათ ჯერ კიდევ "მოურწყველ ნიადაგზე". ძნელი იყო ღვთის სიტყვის ქადაგება მაშინ, მოციქულებს ხან ქვებს ესროდნენ, სცემდნენ და ტანჯავდნენ, და ხან კიდევ ციხეებში ამწყვდევდნენ. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა მათ თავისი მისია ბოლომდე აღასრულეს.

მიეძღვნა ვეტერანი კალათბურთელის ხსოვნას

მეგობრული მაცხი

ცნობილი სპორტსმენი, კალათბურთელი, ჩვენი თანაქალაქელი ალიკა კოხრეიძე სამი წელია ჩვენს გვერდით აღარ არის. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სპორტსკოლაში, ბევრი თაობა აღზარდა, უამრავ ახალგაზრდას დაუდგა გვერდით და შეაყვარა ეს მეტად აზარტული და პოპულარული სპორტი... ვეტერანი მწვრთნელის, ნაადრევად გარდაცვლილი სპორტსმენის პატივსაცემად კასპის მეორე საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ამხანაგური შეხვედრა გაიმართა. ვეტერან კალათბურთელთა ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს, პირველ გუნდში გამოდიოდნენ: დათო ბექაური, მიხეილ მაკეიჩევი, მამუკა ჩიტიშვილი, რამაზ სიჭინავა, ტარიელ ამირეზაშვილი, ირაკლი სადუნიშვილი, გოდერძი მარიდაშვილი და ალიკა კოხრეიძის შვილები გიორგი და ვასო კოხრეიძეები. მეორე

გუნდში თამაშობდნენ: ნუკრი ბახუაშვილი, ნოდარ ცინცაძე, ზურა ღვინიაშვილი, სოსო შოთნიაშვილი, ზაზა მილაძე, ჯემალ თამარაშვილი, თამაზ მერებაშვილი, ნიკა ბახუაშვილი, ზაზა კაციაშვილი. შეხვედრას მსაჯობდა ლალი ხარაიშვილი. ასპარეზობა მშვიდ, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თამაში დასრულდა პირველი გუნდის გამარჯვებით...

შეხვედრის დასრულების შემდეგ ალიკა კოხრეიძის მეუღლეს ქეთინო გიორგაძეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით საჩუქრად გადაეცა ხატი. მან ოჯახის სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს და დამსწრე საზოგადოებას სპორტული ღონისძიებისათვის, რომელიც ვეტერანის ხსოვნას მიეძღვნა.

ემღვნება ზურაბ მუზაშვილის ხსოვნას

მდინარე ქსნის მარჯვენა სანაპიროსა და თხოთის მთას შორის არის სოფელი ალაიანი. იგი პირველად მოხსენიებულია 1459 წლის საბუთში. 1929 წელს ალაიანის მიდამოებში გათხრების შედეგად აღმოჩნდა თხოთის სარკოფაგი ოქროს სამკაულით და რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ მოჭრილი სოლიდი და მისი მინაბარი. 1974 წ. ალაიანში კვლავ აღმოჩნდა თიხის სარკოფაგები, თავისი ოქროს ბეჭდებით, ყელსაბამებით, საყურეებით, მონეტებით, თიხის ჭურჭლით და სხვ. 1625 წელს ალაიანის ველზე მოხდა ბრძოლა კახელებსა და სპარსელებს შორის. თხოთის მთაზე დგას წმინდა ნინოს ეკლესია. ისტორიული წყაროებით მირიან მეფემ აქ იხილა მზის დაბნელების სასწაული. შეშინებული მეფე შეევედრა კერპებს, მაგრამ არაფერი ეშველა. მირიანს გაახსენდა წმინდა ნინოს ღმერთი, დაიჩოქა და შეევედრა: "ღმერთო, ნინოისაო! ოღონდ გამინათე ეს სიბნელე, თაყვანს ვცემ შენს ჯვარს და შენს მიერ მოვლინებულ ნინოსო. დაამთავრა თუ არა ლოცვა მეფემ, ქვეყანას ერთბაშად მოევლინა სინათლე. ამის შემდეგ იწამა მირიანმა ქრისტეს ჯვარი და ბრძანა თავისი ხალხის გაქრისტიანება, იმ ადგილას კი ჯერ ჯვარი დაიდგა და შემდეგ (VII-VIII ს.) აშენდა ნინოწმინდის ეკლესია.

თხოთის მთაზე მდგარი ნინოწმინდის ეკლესიიდან საბჭოთა პერიოდში ეკლესიის ზარი ჩამოხსნეს და სკოლის ფოიეში დაკიდეს. ამ ზარით გვიხმობდნენ სკოლისაკენ ბავშვებს. ამ ზარის წკრიალში გაიზარდა დიდი სამამულო ომის შემდგომი ალაიანის ახალგაზრდობა. შემდეგ წლებში ეკლესიური ზარი დაიკარგა. ალაიანს ბევრი ტრაგიკული დღე ახსოვს. მისი საუკეთესო შვილები, ვინც სოფლის ბატონ-პატრონი უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 30-ზე მეტი ახალგაზრდა, ალაიანის სასაფლაოზე განისვენებს. მათი უმრავლესობა ავტოკატასტროფის მსხვერპლია. თალხი კაბებით დადიან დღესაც მათი დედები.

ერთი სიცოცხლის გადარჩენას შეეწირა წინა წლებში ალაიანელი ილია ყულუმბე-

გაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი. ვაჟა-ფშაველას გამზირზე საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ქალი ავტოკატასტროფისაგან. შვილმკვდარ დედებს ჭრილობებს ვერავინ მოუშუშებს. იმ დედათა გაუსაძლის ტკივილს კიდევ ერთი ახალგაზრდის ზურა მუზაშვილის დედის ტკივილი და მწუხარება დაემატა. "საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი" (ჯ. ჩარკვიანი).

ზურა მუზაშვილი ერთი რიგითი, წესიერი, მშრომელი, პატიოსანი, ქართველი გლეხის შვილი იყო. იგი ამ ოჯახის, სოფლის და ხალხის გამორჩეული დესპანი იყო, რაც თავისი თავგანწირვით დაგვიდასტურა.

ალაიანში, როგორც მთელ საქართველოში ჭიდაობა დიდი პოპულარობით გამოირჩეოდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ზურამ ამ სახეობაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. არც ის არის შემთხვევითი, ამ ისტორიულად მდიდარი სოფლის შვილს, იქ გაზრდილსა და დავაჟკაცებულს, თავისი სიცოცხლე სხვათა სიცოცხლის სამსხვერპლოზე მიეტანა. აფერუმ ზურა, შენს ვაჟკაცობას. გვეამაყები და ამავე დროს გულიც ძალიან გვტკივა. მადლობა სრულიად საქართველოს და იმ ახალგაზრდას ვინც ეს ტრაგედია გაითავისა.

ალაიანის მოსახლეობა უფალთან ერთად, წმინდა ნინოს ხატს მის მფარველ ანგელოზად მოიაზრებს.

გულო ქენქაძე.

გაიხსნა მოხუცთა სახლი

საბაზრო ეკონომიკა თავის ნოვაციებს ჩვენთვის უჩვეულოდ, პერმანენტულად და მიზანმიმართულად ამკვიდრებს. კეთილდღეობაც ისევ გულისხმობს კარგად ცხოვრებას ოღონდ ...

მაგალითად, მოხუცებულთა სახლის არსებობაზე, გნებავთ ქართულ რეალობაში მის მიზანშეწონილობაზე თავზე მეცია ჩვენს ქალაქშიც საუბრობენ და დაობენ კიდეც ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. უფრო ზუსტად კი ახალგაზრდები (უმრავლესობა) ალიარებენ რომ მოხუცებულთა სახლის არსებობა გამართლებულია, ბებიების თაობა შიშნარევი ოპტიმიზმით გამოთქვამენ იმედს, რომ იქ არ „ჩააბარებენ„ და სიცოცხლეს ოჯახთან ერთად გააგრძელებენ.

ქართულ დედა-შვილობას, როგორც ჩანს, წინ მრავალი გამოცდა ელოდება, პრობლემების სუბიექტურ-ობიექტურ ლაბირინთებში გარკვევას მრავალი გონიერი პროფესიონალის დასკვნა დასჭირდება, მანამდე კი გაცნობებთ, რომ კასპში მოხუცებულთა სახლი გაიხსნა.

ივნისის დასაწყისში ჩვენს ქალაქში, წულუკიძის ქუჩაზე (№4), შპს "გინიკას" ბაზაზე მოხუცთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის კომფორტული, თავშესაფრის ტიპის დაწესებულება გაიხსნა. მოხუცთა სახლი შპს "ავე" /დირექტორი ხათუნა წიკლაური/ გათვალისწინებულია 24 მობინადრეზე, დაწესებულებაში შექმნილია ოჯახური გარემო ანუ მორგებულია თითოეული მობინადრის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე.

— დაწესებულების მთავარი მიზანი გახლავთ მოხუცებს და ინვალიდებს მაქსიმალურად შევუმსუბუქოთ მდგომარეობა და გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე, — აცხადებს შპს "გინიკას" მთავარი ექიმი კახა ტატუნაშვილი, — დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მოხუცთა თავშესაფარში ყველა პირობაა შექმნილი, ბენეფიციარებს უვლიან, კვებავენ, შექმნილია ოჯახური გარემო, ისე, რომ ყოველმა მათგანმა თავი იგრძნოს დაცულად, როგორც საკუთარ ოჯახში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მობინადრეებს სამედიცინო მომსახურებას უწევენ კვალიფიციური ექიმები.

ამდენად, კომფორტულ, ლიცენზირებულ მოხუცთა და ინვალიდთა ახლადგახსნილ დაწესებულებას უკვე მიაკითხეს ბენეფიციარებმა და თქვენ წარმოიდგინეთ, თავს შესანიშნავად გრძნობენ დედაქალაქიდან ჩამოსული ქალბატონები: ჯულეტა გორდელაძე, თამარ თოთიბაძე, გორელი მარიამ ჯავახიშვილი...

— არა მარტო ქალბატონები, ამ დღეებში ჩვენს დაწესებულებას მამაკაცებიც შეემატნენ, — საუბრობს მოხუცთა სახლის დირექტორი ხა-

თუნა წიკლაური, — მათ მოსვლამდე, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოვამზადეთ, სუფთა, ნათელი ოთახები მოხერხებული, საჭიროების შემთხვევაში ფუნქციური საწოლებით, რომელიც გათვალისწინებულია მწოლიარეებისათვის. ოთახები აღჭურვილია კარდიომონიტორებით, ცენტრალური ჟანგბადით. მოკლედ, როგორც მოხუცთა სახლის მობინადრეებისაგან და მათი ახლობლების საუბრიდან გაირკვა, თავშესაფარში მართლაც რომ, მოწესრიგებული და სასურველი სიტუაციაა. სამომავლოდ კი, დაწესებულების ხელმძღვანელები ახალი პროექტის განხორციელებას გეგმავენ, თუმცა, დეტალებზე ჯერ არ ლაპარაკობენ, დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს მომავალში.

რუსუდან ხეჩუაშვილი.

მოულოდნელი თუ აუხსნელი?

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ მოვლენის

ამსახველი მასალა. მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი." საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს„ და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს.

გახდით სასურველი სტუმარი

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაურული თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში „მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

საანგარიშო კონცერტიდან ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალზე

ყოველწლიური, საანგარიშო კონცერტი, რომელიც ივნისის ბოლოს გაიმართა კასპის სამუსიკო სკოლაში, დიდი ანშლაგით ჩატარდა. ტრადიციულად კონცერტი იყო ემოციებით დატვირთული, საინტერესო, სანახაობრივი და თბილი... საკონცერტო პროგრამის ორგანიზებულად მომზადებაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა სამუსიკო სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი. კონცერტში მონაწილეობდნენ: ნინო და ნაია სისაურები, ეკა კვერცხიშვილი, ანა-მარია მზარეულაშვილი, ანა-მარია ნონიაშვილი /პედაგოგი ლეილა თათანაშვილი/, მარიამ მურადელი, მარიამ ტყემალაძე, მარიამ კაციაშვილი, გვანცა დუშაშვილი, თეონა გორგაძე /პედაგოგი სვეტა ლომსაძე /, ანა ჯავახიშვილი /პედაგოგი ნინო ყოჩიშვილი/, მარიამ ჟივიძე, ხატია მამულაშვილი, ეკა დაბრუნდაშვილი /პედაგოგი ლაურა ნონიაშვილი/, მარიამ მამულაშვილი, ქეთი გოჭოშვილი /პედაგოგი ლალი ღვინიაშვილი/, მარიამ მენაბდიშვილი, ზვიად თვარაძე, სალომე მჭედლიძე, თაკო მჭედლიძე, ნინო კობახიძე, მარიამ ბერიაშვილი /პედაგოგი მანანა სოზიაშვილი/, შალვა ნასყიდაშვილი, მარიამ მგელაძე /პედაგოგი შორენა შეშაბერიძე/.

ტრადიციული საანგარიშო კონცერტი დასრულდა საილუსტრაციო სიმღერით, სხვათა შორის, წლევანდელ საანგარიშო საკონცერტო პროგრამაში შეტანილი იყო ყველაზე მეტი სასიმღერო ნომერი, ილუსტრატორი გახლდათ ქეთევან გაჩეჩილაძე. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამუსიკო სკოლაში არის სხვა სიახლეებიც, საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სკოლას ჰყავს ხალხური სიმღერის გუნდი /ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი/, რომელმაც მოკლე პერიოდის მეცადინეობის მიუხედავად მაინც მოახერხა კონცერტზე წარმატებით გამოსვლა. გასული წლის შემოდგომაზე სკოლაში გაიხსნა საესტრადო განყოფილება /პედაგოგი ნინო ხუციშვილი/, რა თქმა უნდა, სწორედ მისი წყალობით შესაძლებელი გახდა სამუსიკო სკოლის სცენაზე პატარა მომღერლების გამოჩენა. დიახ, ძალიან მოკლე დროში მოახერხეს ბავშვებმა რამდენიმე სიმღერის შესწავლა და სცენაზე გამოსვლა, ამიტომაც იყო, რომ დამსწრე საზოგადოებამ პატარა შემსრულებლებს ოვაციები გაუმართა. გუნდის წევრები: ლუკა ტერტერაშვილი, ლუკა მალაციძე, ალექსანდრე ბახტაძე, ნატალია მზარეულაშვილი, ქეთი კოპაძე, ანანო იმერლიშვილი, ანა და მარიამ მურღულიები, გურამ ქამხაძე, ვანიკო მიდელაშვილი. კონცერტზე სოლო სიმღერა შეასრულა პატარა ნუცა გამყრელიძემ.

იყო ასეთი ტრადიცია, წლის ბოლოს პედსაბჭოზე მთელი პედკოლექტივი ასახელებდა წლის პედაგოგს. წელს დირექციამ გადაწყვიტა კორექტირება მოეხდინა ამ კუთხით და წლის პედაგოგი დასახელდა საანგარიშო კონცერტზე. დირექციამ გაითვალისწინა პედაგოგის მუშაობა, აქტიურობა, სკოლისადმი მისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და ამჯერად, წლის პედაგოგად დასახელდა ლალი ღვინიაშვილი, რომელიც სიგელით დაჯილდოვდა. ლალი ღვინიაშვილი მთელი კონცერტის განმავლობაში აკომპანიატორობას უწევდა, როგორც საფორტეპიანო, ასევე საესტრადო განყოფილების ბავშვებს.

საანგარიშო კონცერტს სტუმრობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მაკა კაიშაური, გაერთიანების სპეციალისტები, მშობლები...

საანგარიშო კონცერტის დასრულებისთანავე კასპელი "პიანისტები" გაემგზავრნენ კლასიკური მუსიკის ფესტივალზე ბორჯომში და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ფესტივალის დამსახურებული ლაურეატები გახდნენ.

– საქმე ის გახლავთ, რომ უკვე მეოთხე წელია, რაც ქალაქ ბორჯომში იმართება კლასიკური მუსიკის ფესტივალი სახელწოდებით "ჰარმონია", – გვესაუბრება კასპის სამუსიკო სკოლის დირექტორი შორენა შეშაბერიძე, – და სხვათა შორის, დღევანდლამდე იგი ტარდებოდა ეროვნული ფესტივალის სტატუსით, აი, წელს ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალის სტატუსით და პირველად ამ პრესტიჟულ ფესტივალში ჩაერთო კასპის სამუსიკო სკოლა, სადაც წარვადგინეთ ოთხი მოსწავლე, ესენი არიან ნინო და ნაია სისაურები /პედაგოგი ლეილა თათანაშვილი/, მარიამ ბერიაშვილი /პედაგოგი მანანა სოზიაშვილი/ და ანა ჯავახიშვილი /პედაგოგი ნინო ყოჩიშვილი/. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ბავშვებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავი და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

როგორც უკვე აღინიშნა, ფესტივალი საერთაშორისო სტატუსით ჩატარდა და ბუნებრივია, მასში საქართველოს გარდა მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის მუსიკალური კოლექტივები. როგორც მოსალოდნელი იყო ფესტივალის ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესოთა შორის საუკეთესო, რომლებსაც მიენიჭათ ლაურეატის წოდება და მიიღეს გალა კონცერტზე მონაწილეობის საგზური. ამდენად, ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები გახდნენ კასპის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები ნაია სისაური /პედაგოგი ლეილა თათანაშვილი/ და მარიამ ბერიაშვილი /პედაგოგი მანანა სოზიაშვილი/. ფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა აგრეთვე სამუსიკო სკოლის კონცერტმეისტერის ლალი ღვინიაშვილის გამოსვლამ და შესაბამისად იგი დაჯილდოვდა სიგელით, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო კონცერტმეისტერი. ფესტივალის დიპლომები გადაეცათ პედაგოგებს: მანანა სოზიაშვილს, ლეილა თათანაშვილს და ნინო ყოჩიშვილს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კულტურის სამსახურმა ყველა პირობა შეუქმნეს ბავშვებსა და პედაგოგებს, რომ ორგანიზებულად, კომფორტულად წასულიყვნენ ფესტივალზე.

ცნობილი გახდა ისიც, რომ მუსიკალური ფესტივალი ზუსტად ამ ეგიდით ტარდება თურქეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, სადაც მონაწილეობს 8 ქვეყანა: საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, ყაზახეთი და იტალია. ვიტოვებთ იმედს, რომ კასპელი მუსიკოს-შემსრულებლები ცდას არ დააკლებენ და მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ასპარეზზე.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

გილოცავთ!

"მსოფლიო კინოს ფაბრიკის" გამარჯვებული

ყოველწლიურად "მსოფლიო კინოს ფაბრიკა" ფრანგული ინსტიტუტის, მსოფლიო კინოს ფაბრიკისა და ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით კანის ფესტივალის ფარგლებში ეწყობა. ის მიზნად ისახავს ახალგაზრდა კინოხელოვანების წარმოჩენასა და მათ საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანას. პროგრამა ირჩევს 10 დამწყებ რეჟისორს, რომლებიც თავიანთ პირველ ან მეორე პროექტზე მუშაობენ.

ქართველი რეჟისორის, რუსუდან ჭყონიას ფილმი-პროექტი "ვენეცია" მსოფლიო კინოს ფაბრიკის პროგრამის გამარჯვებულია.

2015 წლის გამარჯვებულთა სია, სადაც 8 სრულმეტრაჟიანი ფილმი და 2 დოკუმენტური ნამუშევარი შედის, ასე გამოიყურება:

- არგენტინა - მარტი მურეგი, 1922;
- ჩინეთი - ლიუ შუ, ლოტუსის პოზა;
- ეგვიპტე - ჰალა ელკუსი, კაქტუსის ყვავილები;
- საქართველო - რუსუდან ჭყონია, ვენეცია;
- ინდოეთი - ტუშარ პრაკაში, გათავისუფლება;
- ლიბანი - ელიან რეაბი, მიგელის ომი (დოკუმენტური);
- მადაგასკარი - ამინიანი რატოვოარივორი, აფრიკული კინო;
- პერუ - მიგელ ანხელ მულე, ჩვენ ყველა მეზღვაურები ვართ;
- პალესტინის ტერიტორიები - ვესამ მუსა, სათამაშო მოედანი (დოკუმენტური);
- ტუნისი - კოტერ ბენ ჰანია, სილამაზე და პაკეტი.

გამოიწერეთ
განთიადი
,,ხალხი
განთიადი,,



კასპის რაიონის საფეხბურთო ისტორია (1936–2014)

ეს არის ავტორი და წიგნი, რომელიც:

– გამორჩეულია საკუთარი შემოქმედებითი ხელწერით, სტილით;

– აღსავსეა უამრავი იდეით, მიზნით, ამოცანით, გეგმით;

– თავისი პროფესიონალიზმით, ოსტატობით, სიახლის აღქმის უნარით ჩაეწერება რაგინდარა დონის შემოქმედებით ჯგუფში, გუნდში, კოლექტივში;

– თავისებურად შეეცადა, მხარი აება ქართული საფეხბურთო სტატისტიკოსების: აკოფოვის, ნოზაძის, ქორქიას, შენგელიასა და სხვათათვის.

– იქმნებოდა, იხვეწებოდა, ივსებოდა ბარე ორი ათეული წლის მანძილზე სტრიქონ-სტრიქონ, ფაქტ-ფაქტ, ცნობა-ცნობა, მისხალ-მისხალ;

– ჯერაც დაბეჭდვა-გავრცელებამდე გახდა ჩვენს პატარა ქალაქში გარკვეული ჯგუფების ინტერესის საგანი;

– მსგავსია აქამდე გამოცემული საფეხბურთო-საცნობარო ლიტერატურისა და, იმავდროულად, რამდენადმე კიდეც განსხვავდება.

ეს არის ავტორი და წიგნი, რომელმაც:

– გამოიჩინა და შეინარჩუნა გაუნელებელი, ცხოველი ენთუზიაზმი წიგნზე მუშაობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში;

– დაძლია უამრავი ხელშემშლელი ბარიერი, სიძნელე, წინაღობა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის;

– სულაც წინა საუკუნეში დაიწყო ხვნა–თესვა და, აგერ, ახლახანს ბარაქიანად, შედეგიანად, მოიჭირნახულა;

– მასზე მუშაობის პერიოდში სხვა ახალწიგნობაც მოასწრო, წარმოადგინა გამოფენა "წითელი ტერორი" და უნიკალურ ბუხარსაც მიაგნო.

– უზომო სიხარული და კმაყოფილება მიანიჭა, აჩუქა ფეხბურთის ათასობით მოყვარულსა თუ გულშემატკივარს, ძველთაობელ მობურთალებსა თუ ახალუხლებს;

– ყმაწვილობის, სიჭაბუკის, ჯეილობის ხანა გაახსენა უამრავ კასპელს, ვისაც პირადი ხარკი გადაუხდია მისი უდიდებულესობა მრგვალი ბურთისათვის;

– დიდად დააფიქრა, ახალი მიზნებისათვის განაწყო, აღავსო ნორჩი ფეხბურთელები – კასპის საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები, ვისაც ეს წიგნი საჩუქრად უძღვნეს.

ეს არის ავტორი და წიგნი, რომელსაც:

– ამიერიდან ჰყავს არმია მადლიერი, მაქებარი, დამლოცველი, თანამოაზრე ადამიანებისა კასპსა თუ მის გარეთ, მაგრამ, შიგადაშიგ, თითოოროლა გამკილავიცა და გამქირდავიც (ამ უკანასკნელთა გასაგონად ვიტყოდი: ზოგისთვის მჭადიც ნუგბარია და ზოგისთვის კი ხიზილალა – ყირჭი! უკეთესი თქვენ შექმენით და აჩუქეთ თქვენი რაიონის ისტორიას);

– გულწრფელად მივულოცავ ახალწიგნობას (ტერმინ "ახალსახლობის" პარალელურად ითქმის) და მინდა, უთხრა: – ვანო, გეყოფა ახალ-ახალი საქმეები, ზედაც სქელ-სქელი წიგნები, ახლა პირად ცხოვრებასაც მიხედე, დასტურ კასპელი იქნები!

– ლეხურისპირელები ცნობის წადილით მოელოდნენ და, ვანოსთან შეხვედრისას, ჯერ მისი დამთავრება-არდამთავრების ამბავს ეკითხებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ – პირადულს;

– ახალგაზრდები ქუჩებში ფურცლავდნენ და ფოტოებს ჩაჰყურებდნენ, თავიანთი ნაცნობების, მამებისა და პაპების გვარებს ეძებდნენ;

– ბევრმა კასპელმა სასოებით მიუჩინა ადგილი თავისი ოჯახური ბიბლიოთეკის თაროზე, როგორც უტყუარ დოკუმენტს;

– სანაცნობო წრის დახმარებით დაეძებდნენ და მერე კი თავს იწონებდნენ მისი შოვნით, დაპატრონებით.

ეს არის ავტორი და წიგნი, რომ(აშვი)ლის:

– შემოქმედებითი ნიჭიერება, გონიერება, გაქანება კოდირებულია მეორე გვარის (რომ-აშვილის) გენეალოგიური შტოს წარმომადგენელთაგანაც;

– მცნობებს უმალ ახსენდებათ ვანოს პაპის – ძველკასპელი კოლორიტული ფიგურის, მეცემენტისა და მოჭიდავის – ვანო რომაშვილის – ვინაობა;

– მინდობილი საქმისადმი ერთგულებაში, სანდოობაში, უღალატობაში დარწმუნებული უნდა იყოს ყველა ხელმძღვანელი და კოლეგა, ვისთანაც კი ამ ახალგაზრდა კაცს უმუშავია და იმუშავებს.

– გასრულებამ, მკითხველისათვის გადაბარებამ, შვება და კმაყოფილება მოუტანა თუ ვერა ჩემს უმცროს მეგობარს, ვერ გეტყვით, რადგანაც ვიცი, წიგნის დასასრულში წერტილი არ დაუსვამს, ელექტრონულ ვერსიაზე მუშაობის ეტაპი წინაა;

– გამოცემას ოპერატიული ინფორმაციით გამოეხმაურა საქართველოში უპირველესი სპორტული, 80 წელს გადაცილებული, მაგრამ პალიტრულად გაახალგაზრდავებული გაზეთი "ლელო," ასევე ჟურნალი "ათიანი."

ეს არის ავტორი და წიგნი, რომელშიც:

– გხიბლავს, გიზიდავს და გაჯადოებს მისეული წიგნიერების, მსოფლმხედველობის, განსწავლულობის, მამულიშვილობის, ოჯახიშვილობის ზოგადი დონე;

– თავმოყრილი და განსახიერებულია ის თვისებები, რაც დამახასიათებელია, საერთოდ, მემუზეუმე, არქივარიუსი, მემატიანე, მჩხრეკელი, მიმგნები პროფესიონალისათვის.

– განზოგადებულია დროის ფაქტორის – **წ**არსულის, **ა**წმყოს, **მ**ომავლის – უწყვეტელობა და ამიტომაც ვიდეო-ფოტო დოკუმენტური ფოლიანტების, მასალების სახით აზუსტებს, აჯერებს, აანალიზებს, ადგენს, ასკვნის;

– გვერდების რაოდენობა ლამის ოთხასამდეა (უფრო ზუსტად, 372-ია);

– დასახელებულია ათასობით გვარი და თარიღი;

– მოთავსებულია 214 ფოტოსურათი და 8 მეგობრული შარჟი (ამ უკანასკნელთა ავტორია ჩვენებური ვაჟა სიმონიშვილი – ვანოსავე თანატოლი და მეგობარი, "ლელოს" ტექნიკური რედაქტორი, რომელიც არანაკლები ფანატიკოსია ფეხბურთისა და ახლახან გამოსცა წიგნი სახელდებით "მესი").

ამირან ტალახაძე.

ლამარცხვენელნი თუ გამარჯვენელნი მიდან

არასდროს მქონია მისნობის უნარი, არც საზოგადო თუ პირადი მომავლის მისტიური განჭვრეტით ვყოფილვარ გატაცებული; რადგან წაკითხული მომავალი იგივეა, რაც მომაბეზრებელი სუბიექტური მონოგრაფია... მაგრამ, როცა ჩემს წინ დიდი, ხელოვნურად შექმნილი "ბურუსი" ჩნდება, ხმამაღლა ვიწყებ ფიქრს.

გასული საუკუნის 90-იანებში და შემდეგ 2008-ში ყველაზე მეტად ერთი კითხვა ტრიალებდა ჰაერში - რატომ უმძიმდა ხმის ამოღება გონიერ ადამიანს?!

უნდობლობა, უიმედობა ყოველთვის ღრღნის აწმყოს, მაგრამ არსებობს საყრდენი - ჯიუტი რწმენა (კიდევ კარგი!) უკეთესი მომავლისა.

სამოქალაქო, თუ ანექსიურ ომებში გამოწრთობილი შინაგანი სიმტკიცე, თაობიდან თაობაზე გადმოცემული სისხლში გამჯდარი პატიოსნება ფიროსმანის ნახატებზე მძაფრად ხატავს ჩვენი ყოფის შეულამაზებელ ამბავს.

მეცნიერებისა და ხელოვნების გაუაზრებელი სინთეზი, იოლადმრწმენთა მიუღებელი ხვედრი, დარღვეული პროპორციების აღდგენის სურვილი და ელიფსზე მოძრაობისას წონასწორობის შენარჩუნებაზე ფიქრი ... ეს მცირე ჩამონათვალი ჩინებულად იტევს ინტელექტუალთა დროში გავრცობილ მოლოდინებსა თუ იმედგაცრუებებს. თუმცა, არსებობს საბაზრო ეკონომიკის მკაცრი სინამდვილე, სადაც არიან ადამიანები, რომელთაც ყოველდღიური საფიქრალი ცხრათავიანი დევივით ყოველცისმარე ახალი ჯადოსნური ძალით აბრუნებს რეალურ ცხოვრებაში; სადაც თენდება სარჩოსა და წამლის ფულზე ფიქრში, ღამდება ღმერთის და სიმართლის გაბრწყინების იმედით.

რთულად ისმინება, მაგრამ ნამდვილად ზუსტად გამოხატავს სათქმელს - რაოდენობრიობა იძენს თვისობრიობის ხარისხს ე.ი. ბევრჯერ რომ მოიტყუე თავი, შენ თვითონ აირჩიე აუტსაიდერის უმოქმედო მდგომარეობა. იქნებ გვეჩვენება, ან გვიჭირს დაჯერება მაგრამ ფაქტია გაჩნდა "საზოგადოება" ფეისბუკით რომ იღებს განათლებას, პარალელურად გაჩნდნენ მცირედ განათლებული ფეისბუკ "ლიდერები" თვალში ნაცრის შეყრის პრინციპით რომ ცდილობენ ზემოქმედებას "ფრენდებზე."

ხელოვნურად შექმნილი "ბურუსი" გეოგრაფიული ნოვაცია არ გახლავთ, სამწუხაროდ არც ვირტუალური სამყაროს წარმონაქმნია, ეს არის დრო, როცა ხვდები, რომ თვალებმა კარგა ხანია დაისწავლეს უმცირეს ნიუანსთა გარჩევა, გაქრა გაურკვეველი პირველი შთაბეჭდილების ხიბლი, სულ უფრო გაჭირდა თავის მოტყუება, თავად შიში გაქრა, რადგან დრომ უხალისოდ და თავისდაუნებურად გასცა გონიერების ათვლის წერტილი - მართლაც მოქმედება და მოქმედება ყოფილა ჩვენი ცხოვრების ძალისა და ღონის მომცემი, სხვა დანარჩენი ტყუილია.

კიდევ კარგი, გამარჯვებისა და დამარცხების მიღმა არსებობს სივრცე, სადაც ადამიანები ანგარების გარეშე ზრუნავენ ერთმანეთზე, უყვართ, აქვთ სიმართლის დანახვის უნარი და სამშობლოს სიყვარული მერკანტილურ კალაპოტში არ გამოუმწყვდევიათ, ჩოხა არ აცვიათ, მაგრამ ყველა იმ სიკეთეს ატარებენ, თაობიდან თაობაზე გადმოცემულ სისხლში გამჯდარ პატიოსნებას რომ ახლავს.

კიდევ კარგი, გამარჯვებისა და დამარცხების მიღმა არსებობს სივრცე, სადაც არსებობას აგრძელებს ის, რაც მაქცია-მედროვეების დიდი მეცადინეობით დროთა განმავლობაში, პერმანენტულად განიდევნა რეალური ყოფიდან, მაგრამ მაინც ინარჩუნებს არსებობას, როგორც ეროვნული თვისებებისა და ხასიათის ღრმა განცდა...

... და მანამ, სანამ წავსულვართ იქ, სადაც მარადიული დუმილია ვაღიაროთ, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრება უხილავი ომია მარტოობასთან, სევდასთან, ბედისწერასთან, სნეულებასთან, სიყვარულთან, თვალთმაქც სიმაღლეებთან ... ამ უკანასკნელმა მხოლოდ დროებით შეიძლება დაბინდოს გონება, შემდეგ კი აუცილებლად დგება ელიფსზე მოძრაობისას წონასწორობის შენარჩუნებაზე ფიქრის დრო.

მერე?

ნანა მერებაშვილი.

ძვირფასო მკითხველო!
რუბრიკა -
- "ნელინაღის მეხუთე დრო"
ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გაიცანით ისინი საზოგადოებას.

გამოიწერეთ "ახალი გზითიალი" და გახდით ჩვენი მკითხველი!

მილოცვა

ჩვენს საყვარელ მეგობარს იზაბელა კობიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კავკასიურ დღეგრძელობას. გვინდა გქონდეს ისეთი ნათელი და ბედნიერი ცხოვრება, როგორი თაკარა გულითაც გიყვარს მეგობრები და ცხოვრება.

მრავალჟამიერ!

მეგობრები.

მადლობა

ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალზე წარმატებით გამოვიდა კასპის სამუსიკო სკოლა.

კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, მოსწავლეები და მშობლები მადლობას ვუხდით კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა გოჩიტაშვილს და კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს თეა ხორბალაძეს აღმოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

ფოტო-მაფიანი

*,,ახალი გაზეთიანი,, იძიებს ანიმიერებლ ბურთებს რეიონის ანგაზეთი ფოტო-მაფიანის შეგაჯმნელო